

**საგამოცდო ტესტების ნიმუშები**  
**ენდოკრინოლოგიაში**  
**დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისათვის**

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ,რომელი მიიჩნევა აკრომეგალიის სკრინინგის „ოქროს სტანდარტად“?

// შრატის ინსულინისმაგვარი ზრდის ფაქტორი 1-ის (IGF1) განსაზღვრა

/// ზრდის ჰორმონის განსაზღვრა

/// ზრდის ჰორმონის რილიზინგ ჰორმონის განსაზღვრა

/// ზრდის ჰორმონის სადელამისო რითმის განსაზღვრა

2. სისხლში თირეოგლობულინის დონის განსაზღვრა გამოიყენება შემდეგი პათოლოგიის მონიტორინგისთვის:

// თირეოიდული ქსოვილის სრული აბლაციის შემდეგ სიმსივნის რეციდივის შესაფასებლად

/// თირეოტოქსიკოზის რეციდივის პროგნოზირებისათვის

/// ჰიპოთირეოზის მკურნალობის ეფექტის შესაფასებლად

/// აუტოიმუნურ თირეოიდიტის დიაგნოზის დასადასტურებლად

3. თიამაზოლის პრეპარატებით თირეოტოქსიკოზის მკურნალობის დამახასიათებელი გართულება:

/// ჰიპოკალემია

/// კრეატინინის და შარდოვანას მომატება სისხლში

// ნეიტროფილების დაქვეითება და აგრანულოციტოზის განვითარება

/// ჰიპერგლიკემია

4. 20 წლის ვაჟი, სტაციონარში შემოვიდა სტუპორის მდგომარეობაში. სისხლში გლუკოზა 1,7 მმოლ/ლ. სისხლში ინსულინის დონე მნიშვნელოვნად აღემატება ნორმას, C- პეპტიდის დონე-მკვეთრად დაქვეითებულია. წინასწარი დიაგნოზი:

// შაქრიანი დიაბეტი- ინსულინის დოზის გადაჭარბება;

/// ინსულინომა;

/// თავის ტვინის სიმსივნე;

/// ჰიპოკორტიციზმი;

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან , რომელი დებულებაა სწორი, ფარისებრი ჯირკვლის ტოქსიურ ადენომასთან მიმართებაში:

/// ფარისებრი ჯირკვლის ანთება, რომელიც გამოწვეულია ლიმფოციტების ინფილტრაციით

// ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც გამოიმუშავებს ჭარბი

რაოდენობით ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებს. ისინი წარმოიქმნებიან ფარისებრი

ჯირკვლის ფოლიკულური უჯრედებიდან

/// აუტოიმუნური დაავადება, რომელიც მიმართულია TSH-ის რეცეპტორების მიმართ.

აუტოანტისხეულები ასტიმულირებენ TSH-ის რეცეპტორებს, რაც იწვევს T3-ის და T4-ის

ჭარბ გამოიმუშავებას

/// ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც გამოიმუშავებს ჭარბი

რაოდენობით ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებს

6. ქალი, 36 წლის, მომართა კლინიკას თირეოიდული პათოლოგიის გამოსარიცხად. ჩივილები არ აქვს. ფარისებრი ჯირკვლის პალპაციით მარცხენა წილში ისინჯება მკვრივი კონსისტენციის კვანძი. ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული კვლევით: ფარისებრი ჯირკვლის მოცულობა 12,8 მლ, სტრუქტურა ჰომოგენური, საშუალო ექოგენობის. მარცხენა წილში აღინიშნება კონგლომერატული წარმონაქმნი, დაბალი ექოგენობის, ზომით 1,8X1,6X1,0 სმ. პუნქციური ბიოფსიით მიღებულ იქნა C უჯრედების კიბოს სურათი. რა გამოკვლევები უნდა ჩატარდეს დიაგნოზის დასაზუსტებლად:

/// სისხლში FT4, TSH ანტიTPO-ს განსაზღვრა

// სისხლში კალციტონინის დონის განსაზღვრა

/// სისხლში კორტიზოლის და აკტჰ-ს განსაზღვრა

/// სისხლში ანტიTSHR-ის განსაზღვრა

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიგვითითებს გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევაზე:

/// უზმოზე > 5,5 მმოლ/ლ, 2 საათის შემდეგ < 7,8 მმოლ/ლ;

/// უზმოზე < 6,7 მმოლ/ლ, 2 საათის შემდეგ > 11,1 მმოლ/ლ;

// უზმოზე < 6,1 მმოლ/ლ, 2 საათის შემდეგ 9, 3 მმოლ/ლ;

/// უზმოზე >6,1 მმოლ/ლ, დატვირთვიდან 2 საათის შემდეგ >11,1 მმოლ/ლ;